

1  
ალექსანდრე შანავა

ეჭიდები  
მეგრული ენის შესახებ

---



ალექსანდრე შანავა

ეტიუდები  
მეგრული ენის  
შესახებ

თბილისი – 1998

ბროშურა შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი სტატიისაგან მეგრული ენის შესახებ. ავტორი ეხება რიგ აქტუალურ საკითხს და გამოთქვამს ორიგინალურ მოსაზრებებს; განიხილავს აფხაზეთის გოპონიმებს და ნათელს ფენს მათ ქართველურ წარმომობას.

კრებული განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, მაგრამ მას ინტერესით გაეცნობა მკითხველთა ფართო წრეც.

## შინაარსი

1. აფხაზეთის ტოპონიმების მეგრული ლექსიკა ----- 4
2. ბგერა „გ“ მეგრულში -----13
3. შეცდომები იოსებ ყიფშიძის ნაშრომში „მეგრული  
(ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და  
ლექსიკონით“ ----- 15
4. მეგრული ენის ორთოგრაფიის სრულყოფისათვის -----17
5. ქაროველური ენების კლასიფიკაციის საკითხისათვის --22
6. გივი ელიავას მეგრულ-ქართული ლექსიკონი -----25

## აფხაზეთის ტოპონიმების მეგრული ლექსიკა

ჩვენ შევეხებით აფხაზეთის ტოპონიმების მხოლოდ მცირე ნაწილს. წინასწარ დაეთქვამთ, რომ ტოპონიმების ჩვენებური განმარტება შეიძლება არ დაემთხვეს ლიტერატურაში არსებულ ზოგიერთ ახსნას, მაგრამ ეს მისაღებიც არის და კანონზომიერიც.

ტოპონიმები, რომლებზედაც გვინდა შევჩერდეთ, გახლავთ: აგუძერა, აკარმარა, აფხაზეთი, აძიუბუა, გუდაუთა, დიოსკურია, კელასური, კვეზანი, კოდორი, ოჩამჩირე, სოჭი, სოხუმი, ტყვარჩელი, ფსოუ, ღალიძგა.

დასახელებული ტოპონიმების შემადგენელი სიტყვები მეგრულია. უფრო დამაჯერებელი რომ გახდეს ტოპონიმების განმარტება, ქვემოთ მოგვყავს მათში შემავალი სიტყვების მეგრულ-ქართული ლექსიკონი.

### მიღებული შემოკლებები:

არს. სახ. — არსებითი სახელი.

ზელს. სახ. — ზედსართავი სახელი.

ზმ. — ზმნა.

ზმნიზ. — ზმნიზედა.

ზმნისწინ. — ზმნისწინი.

თანდ. — თანდებული.

კავშ. — კავშირი.

მოძვ. — მოძველებული.

ნაცვალსახ. — ნაცვალსახელი.

ნაწ. — ნაწილაკი.

რიცხ. სახ. — რიცხვითი სახელი.

სახ. ბრ. — სახელობითი ბრუნვა.

სზმ. — სახელზმნა.

უარყ. — უარყოფითი.

ქართ. — ქართული.

შდრ. — შეადარეთ.

შორისდ. — შორისდებული.

## ლექსიკონი

ა, ნაწ., აი, ა. ა სტანა საქმე აი შენი საქმე. ა, გაწობილა ა, გამომართვი.

აკა\*. 1. ზღეს. სახ., ერთადერთი. აკა სქუა ცუნს ერთადერთი შვილი ჰყავს. 2. უარყ. ნაცვალსახ., არც ერთი, ვერც ერთი. აკას ვაკო არც ერთს არ უნდა. ვარიაქ აკას ვაგაბელინ უარი ვერც ერთმა ვერ გაბედა. 3. ნაწ., მხოლოდ. ბოშა აკა თენა რე ბიჭი მხოლოდ ესაა. 4. ნაწ., ერთი აკა მიღმართვას ერთი შვეძლებლე წასვლას.

— ამჟ, თანდ., დაერთვის სახ. ბრ.; ქართ. — ანი. ოსურაჟმ ცოლიანი; ცხენაჟმ ცხენიანი; ფარაჟმ ფულიანი.

\* ი. ყიფშიძე ვარაუდობდა, რომ სიტყვა აკა მეგრულს აფსუურიდან აქვს ნასესხები (იხ. მისი „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესთომათითითა და ლექსიკონით“, ს. — პეტერბურგი, 1914), აღბათ იმის საფუძველზე, რომ ეს სიტყვა პირველი ორი ბგერით ემთხვევა აფსუურ რიცხ. სახ. „აკკ“-ს (ერთი). იგივე აზრია გატარებული გ. ელიაეას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ (მარტვილი-თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 1997).

ფეიქრობთ, ეს თვალსაზრისი მცდარია, რადგან: 1) სიტყვა აკა პოლისემიურია; 2) მისგან ნაწარმოებია სხვა სიტყვები: აკაძურეშა მანაწინა, აკაწუნს ერთ წაშს, აკაშთა მხოლოდ ერთსულ; 3) წარმოშობით აკა შესაძლებელია იყოს კაკალიდან, როპლის მეგრულობაში, ეჭვი არ შეიტანება. კაკალის ძირითადი მნიშვნელობაა მარცვალი: ქობალიშა კაკალი ხორბლის მარცვალი, მეგრამ მას შენარჩუნებულია აქვს ერთადერთი მნიშვნელობა გამოთქმებში: კაკალი გურა ერთადერთი გული, კაკალია გურს ერთადერთ გულს; 4) აკა, შესაძლებელია, უშუალოდ კაკალიდან კი არ წარმოიშვა, არამედ კაკა-დან. კაკა ჩოხის კაბის ღილს ჰქვია, რომელსაც მარცვლის ფორმა აქვს. აქედან: კაკალია→აკაკა→აკა; 5) სიტყვა აკაჟ მეგრულობას ისიც ადასტურებს, რომ თვითონ ეს სიტყვა და მისგან ნაწარმოები სიტყვებიც (იხ. ზემოთ) გავრცელებულია მეგრულის ყველა კილოკავში და არა მარტო სამურზაყანულში, რომელსაც უშუალო კონტაქტი აქვს აფსუური ენის გავრცელების ზონასთან; 6) ისეთ ვითარებაში, როდესაც მეგრულის კილოკავებს ცალკეული ცნებებისათვის საკუთარი ლექსიკა გააჩნია (მაგალითად, სამურზაყანული: ვაღა ელვა; სოამაჟ სანამდე, სანამ; იგივე ცნებებისათვის მარტვილურში: ფიტა; ონდარო ან სონდარო). არც სიტყვა აკასი და არც მისგან ნაწარმოები სიტყვების შემცველი სიტყვა — პარალელბი მეგრულის არც ერთ კილოკავში არ მოიპოვება.

ამრიგად, ჩვენი აზრით, სიტყვა აკა მეგრულია. აფსუურ სიტყვა აკკ-ს იგი ემთხვევა წინა ორი ბგერით. სემანტიკურ დამთხვევას ადგილი არა აქვს, რადგან აკა რიცხვ. სახ. ერთის მნიშვნელობით არ იხმარება. ფეიქრობთ, რომ უღერადობის ნაწილობრივი დამთხვევა აქ შემთხვევითია. სხვადასხვა სისტემის ენების სიტყვებში ცალკეული ბგერების ან ბგერათა სისტემის დამთხვევა ჩვეულებრივი ამბავია.

აჟ (ჟაჟ). შორისდ.. აუ. გამოხატავს მწუხარებას, შეძრწუნებას.  
აჟ, მუ რე ენა! აუ, რა არის ეს!

აფხა, არს. სახ., ბეჭი, ქათმის სამკუთხა ძვალი (შდრ.: ფხა — თევზის ძვალი). *ჩხოუში აფხა* ძროხის ბეჭი.

გულა (ხართა, ლსაგუჯა), არას. სახ., გულა. *გულამ კორა* გულდანი კაცი.

ლიო, ზმნიზ., ჯერ. *ლიო კეძათ* ჯერ ნუ წავალთ.

1. ბჟა, არს. სახ., მზე. *ბჟაქ გელორთ* მზე ამოვიდა.

2. ბჟა, არს. სახ., რძე. *ბჟა ღო მარწვინა* რძე და მაწონი.

ზალსა, სზმ., ზელვა.

ზანს, ზმ., ზელავს. *მა ბზა (ბზანქ)* მე ვზელავ; *სი ზა (ზანქ)* შენ ზელავ; *თინა ზანს* ის ზელავს.

ზენა (რზენა), არს. სახ., ბარი, ვაკე. *სუკა, ლსაკადა ღო* *ზენა* გორაკი, სერი და ვაკე.

კგდგრა (კიღირა), არს. სახ., მკერდი.

კგდგრუა, სზმ., ყალყზე დადგომა.

კგდგრანს, ზმ., ყალყზე ღებება. *ცხენქ ქოკგდგრუქ* ცხენი ყალყზე დადგა.

1 მარა, კაემ., მაგრამ. *ჭიჭე რე, მარა ნაცა რე* პატარაა, მაგრამ ყოჩალია.

2 მარა, არს. სახ., კვირა (7 ღღე). *თიში უკულა ართა* *მარაქ ძეკიღო* იმის შემდეგ ერთი კვირა გავიდა.

ორა, არს. სახ., ვაცი, მამალი თხა, ბოტი. *ორა რე. მარა მუ* *ორა!* ვაცია, მაგრამ რა ვაცი!

რე, ზმ., არის. *მა გორექ* მე ვარ; *სო რექ* შენ ხარ; *თინა რე* ის არის.

სო, ზმნიზ., სად. *სო რე?* სად არის?

სქურა, არს. სახ., წყალი (მოდე.). ამჟამად დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, შენარჩუნებულია როგორც სოფლის და სამკურნალო წყლის სახელწოდება. *სქურიში წყარა* სქურის წყალი.

ტკვარჩილა, ზელს. სახ., ფენებად დაწყობილი; ფენოვანი; დაწყობილი ერთი მეორეზე; მჭიდროდ მიწყობილი ერთმანეთზე. *ტკვარჩილა ქარაღაძე ქიმილ* ქალაღის შეკერა (ფენებად დაწყობილი) მოიტანა.

ტკვარჩუა, სზმ., ფენებად დაწყობა; ერთი მეორეზე დაწყობა. *ჭეღიჭყე ტკვარჩუა* დაიწყო დაწყობა (ფენებად).



ტკვარჩენს, ზმ., ფენებად აწყობს; ერთი მეორეზე აწყობს. მა პტკვარჩენქ მე ვაწყობ (ფენებად); *სი ტკვარჩენქ* შენ აწყობ (ფენე-  
ბად); *თინა ტკვარჩენს* ის აწყობს (ფენებად).

უთა, ანუ უთა-უთა, არს. სახ., მხარი და ზურგის ზემო ნაწილი. *უთა-უთათ მეგუნს* მიჰყავს ზურგით (ზურგის ზემო ნაწილით).

ფსორო (სორო), არს. სახ., ღელე, პატარა მდინარე, ნაკადული. *ფსორო მიკოყუნს* ღელე ჩამოუდის.

ქუა, არს. სახ., ქვა. *ქუა ქვადროფეს* ქვა მოიტანეს (ბლომად).

ღალა, არს. სახ., პატარა მდინარე. *ღალაქ გინიღო* ღელე გადმოვიდა ნაპირზე.

-ში (-ში), თანდ., დაერთვის სახ. ბრ., ქართ. -ის. *ჩხოლში* ძროხის; *კურხიში* ფეხის; *პეულიში* ყვავილის.

ჩამა, ზმ., ჭმევა. *ჩამა ოკო* ჭმევა უნდა.

ჩანს, ზმ., აჭმევს. *მა ფჩა (ფჩანქ)* მე ვაჭმევ; *სი ჩა (ჩანქ)* შენ აჭმევ; *თინა ჩანს* ის აჭმევს.

ჩგრე (ჩირე), არს. სახ., ჭაობი. *ურემქ ჩგრეს ქანოსქედ* ურემი ჭაობში ჩაეფლო.

ძგა, არს. სახ., ნაპირი, კიდე. *ძგას იკორე* ნაპირზე ღვას (სულიერი საგანი).

ძერა, არს. სახ., ძერა. *ე, წიე, ქათომეფს კევანთხას ძერაქ* ე, ბიჭო, ქათმებს არ დაეცეს ძერა.

ძიუთ, ზმნიზ., ძლივს, ბოლო-ბოლო, გაჭირვებით, როგორც იქნა. *ძიუთ ქემეოღალაფეთ* ძლივს მოვატანინეთ.

ზუმაფა, სზმ., ხმობა. *ზუმაფას გარე* ხმობას იწყებს.

ზუშუ, ზმ., ხმება. *მა ბზუშმა* მე გაეხმი; *სი ზუშმა* შენ გახმი; *თინაქ (თიქ) ზუშუ* ის გახმა.

აქ მოტანილი ლექსიკონის დახმარებით ვცადოთ ავხსნათ ზემოთ დასახელებული ტოპონიმები.

*აგუძერა*, სოფელი სოხუმის მახლობლად. ტოპონიმი შედგება ორი ნაწილისაგან: *აგუ* და *ძერა*. ჩვენი აზრით, *აგუ* მიღებულია გაკვირვების ან შეძრწუნების გამომხატველ შორისდებული აუ (აუ) -საგან. ტოპონიმი ნაწარმოებია შეძახილიდან: აუ, ძერა! ამნაირად: აუ, ძერა→აუძერა→აგუძერა. „ა“ და „უ“-ს შუა ბგერა „გ“-ს ჩამატე-  
ბა გამოწვეულია კეთილზმოვანების დაცვით.

*აკარძარა*, დასახლება ოჩამჩირეს მახლობლად. ტოპონიმი შედგება ორი მთლიანი სიტყვისა და ერთი სიტყვის ელემენტისაგან. მთლიანი

სიტყვები: აჲ და მარა (იხ. ლექსიკონი), მათ აკავშირებს სიტყვა რუ-ს ელემენტი „რ“. სიტყვა რუ-ს თუ აღვადგენთ, გვექნება: აჲ რუ, მარა... ერთადერთია, მაგრამ...

**აფხაზეთი**, საქართველოს ერთ-ერთი კუთხე შავი ზღვის სანაპიროზე. ტოპონიმის ეს ქართული ფორმა მიღებულია მისი მეგრული ფორმიდან: სააფხაზო. ჩვენი აზრით, ტერმინი წარმოშობილია მეგრული გვარი აფხაზა (აფხაზაჲ)-საგან, ამიტომ საკითხში გასარკვევად საჭიროა მოკლედ შევეხოთ მეგრულ გვარებს.

მეგრული გვარები გამოხატავენ გვარის მატარებლის რომელიმე ნიშანთვისებას, აღნიშნავენ მის მსგავსებას რომელიმე საგანთან, მიუთითებენ გვარის მატარებლის საქციელზე, რაიმე ნაკლზე, საქმიანობაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, წარმოშობაზე ან წინაპრის საკუთარ სახელზე (ამ უკანასკნელზე იშვიათად).

გვარების უმეტესობა ბოლოვდება „ა“ ხმოვანზე, მცირე ნაწილი კი მთავრდება სიტყვებით: -სქუა (შვილი), -ძაა (გვირილა), -სკირა (შშრალი). -ჭკორა (მონა), -ძე (ძე, შვილი, მოდგმა).

გვარის დამაბოლოებელი „ა“ ხმოვანი წარმოშობით სიტყვასიტყვითი -ა ნაწილაკია, რომელიც აღნიშნავს მესამე პირის ნათქვამის განმეორებას (ქართ. -ო): ქმართასსა მოვიდესო, მეუა წადიო, სო რენა სად არისო.

სიტყვის ფუძე ხმოვანზე თუ ბოლოვდება, ნაწილაკი -ა და ხმოვნის შუა ჩაერთვის „ვ“ გამყოფი hiatus-ის ასაცილებლად: გაღმა-ლორაჲ არ მომატყუოვო, გამვონებ თქვანა ცქაფაჲ გამიგია თქვენი ქებაო, ვამთაქუჲა ვერ გამოვთქეო, მდართჲა წახვიდ-ეო, აშოჲა აქეთო.

სიტყვის ფუძე თანხმოვანზე თუ ბოლოვდება, ნაწილაკი -ა-ს წინ წარმოიშვება ხმოვანი „ი“: მართა მოდიო, მოკონა მინდაო, იძბ-რათა ვიბლეროთო, ვარენა არ არისო, ბბრათა ვნახოთო.

ზოგ შემთხვევაში ნაწილაკი -ა და სიტყვის ბოლოკიდური -ი ქმნის სუფიქს -ა-ს, რომელიც უწინსართოდ, ან მა- და ნა- წინსართებთან ერთად სიტყვას აძლევს კინობით ან სიძულვილის ელფერს: ჯიძათა ძმაიკო, დაია დაიკო, შუმილია ლოთი, მამოშია ყმაწვილკაცობაში შესული ბიჭი, მაძაძა პატარა გოგო, ნაჩაფ-ულა ძველი წალები, ნაძიქია გაცვეთილი შარვალი, ნაარგუნა უვარგისი სიძველისაგან ნაჯახი, ნაყულა სიძველისაგან უვარგისად ქცეული სახლი.

ნაწილაკი -ა, იქცევა რა გვარების სუფიქს -ად, ინარჩუნებს ნაწილაკის ყველა ფუნქციას, ამიტომ მეგრული გვარები -აზე თავისი ფორმით წარმოადგენენ მესამე პირის ნათქვამის განმეორებას, რაც მათ აძლევს ზედმეტი სახელების ელფერს.

მესამე პირის ნათქვამში, რაც შემდეგ აღამიანის გვარად ქცეულა, ბევრ შემთხვევაში უცვლელადაა შენარჩუნებული მისი შემადგენელი სიტყვები: მამფორია (მამა - მამიდა, ფორია - ჰფარეო), ქარდავა (ქა - რქა, რდავა - იყავიო), გერზმავა (გერა - მგელი, ზგმავა - ოდენაო), გაგუა (გაგ - ჩაარტყა რაიმე ბლაგვი იარაღი რამეს), თოფურია (თაფლიო), მასხულია (პატარა მსხალი), ქოჩქია (ქო - ღიახ, ჩქია - ჩენო). მაგრამ ყოველთვის ასე როდია. კეთილხმოვანობის დასაცავად თუ სხვა თვალსაზრისით ბევრ გვარებში შეცვლილია, დამატებულია ან გამოტოვებულია ესა თუ ის ბგერა. ასე, გვარში *ოკუჯავა* ბგერა „ჟ“-ს მაგიერ ჩასმულია „კ“. უნდა იყოს: *ოკუნჯავა* (ო - ღიახ, ცუნჯავა - ყრუო). არის მესამე რიგის გვარები, სადაც მათი შემადგენელი სიტყვების სემანტიკის დადგენა ძნელდება, მაგრამ გვარის წარმოების პრინციპი ყოველთვის ერთია: გვარები-აზე (-ა, -ა) თავისი ფორმით მე-3 პირის ნათქვამის განმეორებაა. ამასთან გვარებს -ვა-ზე აქვთ სრული და მოკლე ფორმები, რადგან ზეპირმეტყველებაში სუფიქსი -ვა შეიძლება ამოვარდეს: სიჭინავა - სიჭინა, ღვამინავა - ღვამინა, უბილავა - უბილა, მირცხულავა - მირცხულა, ბოკურავა - ბოკურა, აფხაზავა - აფხაზა.

შეწერდეთ ამ უკანასკნელ გვარზე. ახსნის სიბნელით ის მიეკუთვნება მეორე რიგის გვარებს, სადაც გვარის მაწარმოებელი სიტყვებიდან ამოვარდნილია ცალკეული ბგერები. აღვადგინოთ გვარის შემადგენელ ნაწილებში გამოტოვებული ბგერები, გვექნება: *აფხა[შა]* - ბეჭის, *ზა[ლთა]ვა* - ზელვაო. შესაძლებელია მეორე ვარიანტიც: *აფხა[ს]* - ბეჭს, *ზავა* - ზელავო.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ იქცა ეს გვარი ტერმინად.

ის ადგილი, სადაც ამ გვარის ხალხი კომპაქტურად სახლობდა, სამეგრელოში მიღებული წესის მიხედვით, *სააფხაზოდ* უნდა წოდებულიყო (შდრ.: საბოკურე, სალემონჯე და ა. შ.). იმის შემდეგ, რაც მხარე პოლიტიკურ ერთეულად იქცა, სიტყვა *სააფხაზოდ*, ქართული ორთოგრაფიით - აფხაზეთი, ტერმინის მნიშვნელობა შეიძინა.

*აძიუბა*, სოფელი აფხაზეთში. ტოპონიმი სამი სიტყვისაგანაა შედგენილი: ა, *ძიუ[თ]*, ბუა (იხ. ლექსიკონი). ეს სიტყვები წი-

ნადადებას ქმნიან, რომლის ლიტერატურული თარგმანია: *აი, ძლივს მზემ გამოანათა*.

*გულაუთა*, ქალაქი აფხაზეთში. ტოპონიმი მიღებულია ორი სიტყვის - *გულა*, *უთა* (იხ. ლექსიკონი) უცვლელად გვერდიგვერდ დალაგებით. მიუხედავად ამისა ეს სიტყვები წინადადებას ქმნიან, რომელიც შეიძლება ასე ითარგმნოს: *გულა, ნატარები ზურვით*.

*ღოსკურა*, სოხუმის უძველესი სახელწოდება. ტოპონიმი ორ ნაწილად იშლება: *ღო*, *სკურა*. სიტყვა *სკურაში* ბგერა „ქ“ „ქ“-ს მაგიერ არის ჩასმული. შესწორების შემდეგ ვღებულობთ: *ღო ბქურა* ჯერ წყალიო.

*კელასური*, მდინარე, იგივე სახელწოდებით დასახლება სოხუმის მახლობლად. ტოპონიმი იშლება ორ ნაწილად: *კელა*, *სური*. ორივე ნაწილი შეცვლილია თანამედროვე მეგრულის თვალსაზრისით. ფორმა *კელა* მიღებულია *კულა*-დან (იხ. ლექსიკონი): *ხე კულა* მოკლე ხელიანი, *კურხა კულა* მოკლე ფეხიანი (არ იხმარება) - *კულა* კოჭლი.

ტოპონიმის მეორე ნაწილში გამოტოვებულია ბგერა „ქ“, უნდა იყოს: სქურა. როგორც ნათქვამიდან ჩანს, გეოგრაფიული სახელი *კელასური* მიღებულია *კულა* სქური-დან: მოკლე წყალი. მეგრულად მდინარეს ჰქვია *მაღა წყარა* ანუ უბრალოდ *წყარა*. ამრიგად, *კელასური* ნიშნავს მოკლე მდინარეს, რაც სინამდვილეს შეეფერება, რადგან მდ. კელასური ძალზედ მოკლე მდინარეა.

*კეზანი*, ქალაქი აფხაზეთში. ტოპონიმი შედგება ორი ნაწილისაგან: *კე* და *ზანი*, რომლებიც სახე შეცვლილი ფორმებია სიტყვების: *ქა* და *ზენა* (იხ. ლექსიკონი). ამრიგად, ტოპონიმის შინაარსია: ქვებით მოფენილი ბარი.

*კოდორი*, მდინარე აფხაზეთში. ფორმა *კოდორი* მიღებულია *კოდორდან* (იხ. ლექსიკონი). შესაძლებელია, ამ ტოპონიმის პირვანდელი სახე იყო: *კოდორწყარა* (შდრ.: *ერწყარა* - ერის წყალი, *ცხენწყარა* - ცხენის წყალი). ასე უფრო ნათელი ხდება ტოპონიმის შინაარსი: ძლიერი, წყალუხვი, მკერდი მდინარე. ამავე დროს გამორიცხული არ არის, ტოპონიმი მიღებული იყოს სიტყვა *კოდორუდან* (იხ. ლექსიკონი). მაშინ ტოპონიმი მიანიშნებს წყლის დინების ხასიათზე: წყალი დინებისას ყალყზე დგება.

*ოჩამჩორე*, ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. ტოპონიმი იშლება ორ შემადგენელ ნაწილად: *ოჩამ[ა]* და *ჩორე(ჩგრე)*. სიტყვათა ეს

შერწყმა წარმოადგენს მსაზღვრელს და საზღვრულს: *კაციანი ჭაობი* (იხ. ლექსიკონი).

*სოჭი*, ქალაქი რუსეთში. ქალაქის ეს სახელწოდება, ჩვენი აზრით, ხელოვნურადაა ნაწარმოები მისი პირვანდელი ფორმიდან — *სოჩა*. ეს უკანასკნელი კი ორი სიტყვისაგან შედგება: *სო, ჩა* (იხ. ლექსიკონი). ხალხში შემორჩენილია ასეთი თქმულება: „იმ ადგილას, სადაც ახლა ქალაქია, მეურმეები დასასვენებლად ჩერდებოდნენ, კამჩებს გამოუშვებდნენ და აჭმევდნენ. სანამ იმ ადგილამდე მივიდოდნენ, ხშირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „სო ჩა?“ (სად აჭმევ?). ასე დაერქვა იმ ადგილს *სოჩა*.

მეგრული ამ ქალაქს ახლაც *სოჩას* ეძახის.

*სოხუმი*, აფხაზეთის დედაქალაქი. ცნობილია ამ ქალაქის რამდენიმე სახელწოდება: დიოსკურია, ცხუმი, სებასტოპოლისი, აყვა. აქედან პირველი, უძველესი, ჩვენ უკვე განვიხილეთ, იგი მეგრული წარმოშობისაა. მეორე სახელწოდება სვანურ სიტყვა ცხუმს (რცხილას) უკავშირდება და მიღებულია სიტყვა „სოხუმის“ თავისუფალი ინტერპრეტაციის შედეგად. მესამე სახელწოდება, როგორც თვითონ სიტყვა გვიჩვენებს, უცხოურია, იგი უნაყოფო გამოდგა. მეოთხე სახელწოდება აფსურია და აფსუა ნაციონალისტების მიერაა შერქმეული, ამრიგად, ხელოვნურია, გარდა აფსუებისა, მას არავინ არ ხმარობს. ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდებაა *სოხუმი*. ამ ტოპონიმს ორი მეგრული სიტყვა წარმოქმნის: *სო, ხუმი* (იხ. ლექსიკონი). ამ შემთხვევაშიც თქმულება შემოინახა ხალხმა. მართალია, ლეგენდაზე დაყრდნობა გაუმართლებელია, მაგრამ მასში პოეტური სული ცოცხლობს. ლეგენდა კი ასეთია: ერთი კაცი კოლხეთის ჭაობიანი ადგილიდან ზღვის ნაპირზე მაღალ ადგილას გადმოსახლებულა. თან თხმელას ნერგი წამოუღია, დაერგამ ამას, ვაზის მისამელად კარგიაო. მაგრამ თხმელა მაღალ ადგილებში ვერ ხარობს. ერთ დილას ნერგი გამხმარი რომ დაინახა, უთქვამს წყენით: „ჟაჟ, ჯიმა ღურელა, სოვრენო მოილა ღო სო ხუმი“ (აუ, ძმა მკედარო, საიდან მოგიტანე და სად გახმი). დარქმევია მერე იმ ადგილს *სოხუმი*.

ლეგენდა ლეგენდად, ფაქტი კი ფაქტია: ორი მეგრული სიტყვა ქმნის ტოპონიმ *სოხუმს*, და მისი ზუსტი თარგმანია: *სად გახმი*.

*ტყვარჩილი*, მალაროელების ქალაქი აფხაზეთში. ტოპონიმი მიღებულია მეგრული სიტყვისაგან *ტყვარჩილა* (იხ. ლექსიკონი), ამ-

რიგად, იგი ადგილის წიაღისეულის დახასიათებას წარმოადგენს: *ფენებად დაწყობილი*.

*ფსოუ*. მდინარე აფხაზეთში. ვფიქრობთ, ტოპონიმი მიღებულია სიტყვა *ფსორო*-დან (იხ. ლექსიკონი), რაც მდინარის სიდიდეზე მიანიშნებს. შესაძლებელია ისიც, რომ *ფსოუ* და *ფსორო* ერთი და იგივე მნიშვნელობის სხვადასხვა კილოკავების სიტყვებია. მათ აკავშირებთ სიტყვები *ფსგრუა*, *ფსგრანს*, რაც წერილად ღინებას ნიშნავს.

*ღალოძეა*, მდინარე ოჩამჩირესთან. მეგრული ორთოგრაფიით — ღალაძეა. ტოპონიმს ქმნის ორი სიტყვა: *ღალა*, *ძეა* (იხ. ლექსიკონი). თუ ამ სიტყვებს ასე განვალაგებთ: *ღალა-ძეა*, მაშინ მათი შერწყმა გვაძლევს შინაარსს: *განაძირა მდინარე*. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს შინაარსი მიანიშნებს ფეოდალური მამულის საზღვარზე.

ჩვენ შეეხებთ, ამრიგად, აფხაზეთის ტოპონიმების მხოლოდ მცირე ნაწილს, მხოლოდ მთავარს, საყოველთაოდ ცნობილს. ნაკლებად ცნობილი ტოპონიმების უმრავლესობაც აფხაზეთში ასევე ქართველურია.

ნოდარ კვიციელია წერს: „ახლანდელი აფსუები არ შეიძლება ქართულ მიწაზე აბორიგენებად ჩაითვალოს. ისინი აქ მე-17-ე საუკუნეში დასახლდნენ“.

ზემოთ მოყვანილი ლინგვისტური მასალა ადასტურებს ამას, რადგან შეუძლებელია, რომ აბორიგენმა ხალხმა თავის მიწა-წყალს უცხო ხალხის ენაზე დაარქვას გეოგრაფიული სახელები.

---

\* ნოდარ კვიციელია. რამდენიმე განმარტება „ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან“ დაკავშირებით, გაზ. „კომუნისტი“, 1998, 5-7 მარტი (№81) გვ. 4.

## ბგერა „გ“ მეგრულში

რომ ვთქვათ, მეგრულისთვის დამახასიათებელი ბგერა „გ“ ქართულში არ გვაქვსო, საესებით სწორი არ ვიქნებით. საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი ქართული თანხმოვნის წარმოთქმისას მხოლოდ პირველ ეტაპზე ეღერს საკუთრივ ბგერა: პ, ფ, ტ, თ, წ და ა. შ. არტიკულაციის მეორე ეტაპზე მას მოსდევს გაურკვეველი ბგერა, რომელიც ზმუილს გავს. სწორედ ეს ბგერაა გ: პ+გ, ღ+გ და ა.შ. ანალოგიურ მოვლენას ეხვდებით რუსული თანხმოვნების წარმოთქმის დროს, ოღონდ აქ იხმარება ვ, ა ხმოვნები: ნვ, ვფ, რვ, ძვ, კა და ა. შ.

ბგერა „გ“-ს წარმოთქმისას ენის ზურგი აწეულია, ენის წვერი დაძაბულია და არაფერს არ ეხება, იგი წინ არის მიმართული.

ი. ყოფშიძე თვლიდა, რომ ბგერა „გ“ ნახევარხმოვანია\*, მაგრამ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან 1) „გ“-ს წარმოთქმისას, როგორც ნებისმიერი ხმოვნის წარმოთქმის დროს, ფილტვებიდან მოდენილი ჰაერი წინალობას არ ხვდება და ბგერის გაგრძელება შეიძლება უსასრულოდ; 2) „გ“ ქმნის მარცვალს და ერთმარცვლიან სიტყვებს: წგ (წელს), გგ (გავს), კგ (რკო), ძგ (ძეკს), ღგ (ღგას), ჭგ (ნაწლავი), და ა. შ.

მგერა „გ“-ს თავისებურებას წარმოადგენს: 1) იგი არ გვხვდება სრულმნიშვნელოვანი სიტყვის თავში\*\*; 2) „გ“ გვხვდება როგორც მაგარ, ისე რბილ თანხმოვნების შემდეგ: ღგრღ (მოხარშული ღერღილი); აქ „ღ“, რომელსაც მოსდევს „გ“, მაგარია, ეს მოვლენა იმისი დამამტკიცებელია, რომ ბგერა „გ“ თანხმოვნების შემარბილებელ ფუნქციას არ ასრულებს\*\*\*; შგ (სველი), ამ სიტყვაში შ რბილია (ნიშანი შ-თი აღვნიშნეთ თანხმოვნის სირბილე. — ა. შ.), მაგრამ ეს არ არის ბგერა გ-ს გავლენის შედეგი, რადგან „გ“ რუსული „н“-ს მსგავსად

---

\*С. Кипшидзе. Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматією и словаремъ, С. - Петербургъ, Типография Императорской Академии наукъ, 1914 с. 03. ი. ყოფშიძის ამ შეცდომას სხვებიც იბეზებენ (იხ. მ. ძამბია. მეგრული დიალექტი, 1, თბ. „ამირანი“, 1991, გვ. 11).

\*\*არასრულმნიშვნელოვან სიტყვებიდან გ-თი იწყება მხოლოდ კითხვითი ნაწილაკი გჰ? (ა?) და შორისდებული გ-გ! (ა-ა!, ან ო-ო!).

\*\*\*საწინააღმდეგო აზრი აქვს გამოთქმული მ. ძამბიას (იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 11).

– „მაგარი“ ხმოვანია, ამიტომაც მას არ შეუძლია იყოს თანხმოვნის დამარბილებელი.

ბგერა „გ“ დამახასიათებელია სამურზაყანული კილოკავისათვის. სიტყვაში მისი შეცვლა „ი“ ან „უ“-თი იწვევს სხვა (ოდიშურ-სენაკურ-მარტვილურ) კილოკავების შექმნას: კვდგრძ–კოდორძ, კიდირძ (მკერძი), კვლჟუ–კილე (მკლავი), გგ–გუ (გავს), ჩქგჩქ–ჩქიჩქუ (ბავშვი), დგრკ–დირკუ (ილუნება) და ა. შ. ეს მოვლენა საეჭვოა გამოდგეს იმის საბუთად, თითქოს „გ“–„ი“, ერთი ფონემის ვარიანტები არიან, ან იმისა, თითქოს „გ“ მეორეული წარმოშობისაა „ი“ და „უ“-საგან. ფონემა „გ“ დამოუკიდებელი ფონემაა, ამასთან იგი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დამატებით კილოკავების განმასხვავებელ ფუნქციას ასრულებს.



## შეცდომები იოსებ ყიფშიძის ნაშრომში „მებრული (ივერიული) ენის გრამატიკა ძრესტომატიითა და ლექსიკონით“

იოსებ ყიფშიძის ეს ნაწარმოები ფასდაუდებელია ქართველოლოგიაში. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ იგი დაწერილია უაღრესად ნიჭიერი ფილოლოგის მიერ, რასაც თავისი დიდი დაუსვამს ნაწარმოებისათვის. ცხადია, რომ ამ ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა დღესაც ძალზედ დიდია. სწორედ ამიტომაც საჭირო აღნიშვნა (მით უკეთესი აღრიცხვა) იმ შეცდომებისა, რომლებიც მოსვლია მეცნიერს სხვადასხვა მიზეზების გამო.

ჩვენ შევეხებით შეცდომების მხოლოდ ორ სახეს მცირე მაგალითების მოტანით.

მაგალითები.

სიტყვა „ყოფა“ (ყოფა, ყოფნა, არსებობა, ცხოვრება, სიცოცხლე) თარგმნილია ლექსიკონში როგორც „ДЕЛАТЬ“, ე. ი. როგორც „კეთება“, „ქმნა“. ძირი „პიი“-დან ნაწარმოები სიტყვა „ქოპიი“ თარგმნილია როგორც „Я сделал“ (მე გავუკეთე). არასწორადაა ნათარგმნი ეს სიტყვა „გრამატიკაში“ (§ 107). ასე, „ვეუცი“ გადათარგმნილია: „Я сделал ему“ (მე გავუკეთე მას). „გოცი“ — „Я сделал тебе“ (მე გაგიკეთე შენ). სინაგვილიში „მე გავუკეთე მას“ მეგრულად იქნება: ქოჭლოლ შე, ქოჭლოლი, ქოჭლოლი, ან: გაჭკეთა; „მე გაგიკეთე შენ“: ქოძლოლ შე, ქოძლოლი, ქოძლოლი, ან: გააკეთა.

შესაძლებელია, ყიფშიძე შეცდომაში შეიყვანა ზმნა „იცი“-სა და მისგან ნაწარმოები სიტყვების თავისებურებამ.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ენა თავისებურად (თავისებური საშუალებებით) გამოხატავს აზრს, ამიტომ ხშირად რთულია ერთი ენის სიტყვის მეორე ენაზე გადაცემა. მაგალითად, „იპიიქ“ ნიშნავს „ვიქნები“. იმავე ძირით სიტყვა „გიპიიქ“ სიტყვა სიტყვით უნდა ითარგმნოს როგორც „ვიქნები ზევიდან ქვევით“, მაგრამ ცხადია, რომ ის ნიშნავს „ვიღვების“. ასევე „გიციიქ“ — „იღვები“ და ა. შ. ყიფ-

---

\*И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С. — Петербургъ, 1914. აგრეთვე კრებულში: იოსებ ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი, თბილისი, თსუ, 1994. ჩვენ ესარგებლობდით ამ უკანასკნელი გამოცემით — ა.შ.

შიძის მიერ ნაწარმოებ „უკუი“, „გოი“ ფორმებსაც იგივე თავისებურება ახასიათებთ. „უი“ სიტყვა სიტყვით დაახლოებით ასე უნდა გადავცეთ: „მე მას შეეუქმენი (ყოფის) რაღაცა პირობა“. რუსულად დაახლოებით: „Я создал ему...“ (ყოფშიძემ ამ შემთხვევაში „создал“-ის მაგიერ იხმარა „сделал“). ჩავსვით ეს სიტყვა წინადადებაში. მაგალითად: „მა თის ეკონია უი“ (მე მას ცუდი დღე დავაყენე). რუსულად ეს წინადადება, ალბათ, შეიძლება ასე გადმოვცეთ: „Плохо ему было от меня“, ასეც: „Я ему сделал плохо“. აი ამ უკანასკნელი „сделал“-ით თარგმნა ყოფშიძემ სიტყვა „უკუი“ („გოი“), ე. ი. მოგვცა ლიტერატურული თარგმნა და არა სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა, რაც ასე თუ ისე გასაგებია, როდესაც საქმე ეხება ნაწარმოები სიტყვების პოლისემიას, მაგრამ ძირეული სიტყვის „ყოფას“ არასწორი თარგმნა უკვე ამკარა შეცდომაა.

მეგრულის სპეციფიკის გაუთავლისწინებლობითაა გამოწვეული აგრეთვე სიტყვების ფორმების ზოგ შემთხვევაში არასწორი წარმოება.

მეგრული ზმნების მრავალგზისობა ცნობილია. მეგრული ზმნა ზმნისწინების მეშვეობით გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას: ზევით, ქვევით, შიგნით და ა. შ. ამასთან ზოგიერთი ზმნისა და მასდარის ფორმა უზმნისწინოდ არ იხმარება. ასე, არ იხმარება ფორმა „დვალთა“ (დება). თუ ქართულად შეიძლება ვთქვათ „თავის დება“, მეგრულად „დუდიშა დვალთა“ არ ითქმის. უნდა ითქვას: „დუდიშა გედვალთა“ ან „მიკოდვალთა“ და ა. შ., რადგან მეგრულმა ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოხატოს მოქმედების მიმართულება მასდარშიაც კი. ქართულად თუ ვამბობთ: „წიგნს კარადაში დებს“, მეგრულად უნდა ითქვას: „წიგნის კარადას მითოდვანს“ და არა „დვანს“.

იოსებ ყოფშიძე, არ ითვალისწინებს რა მეგრულის ამ თავისებურებას, აწარმოებს ფორმებს (მითითებული გამოცემის გვ.062): „ბ/ვ დვან-ქ, დვან-ქ, დვან-ს/ც, ბღვი, ღვი, დუ“ და ა. შ., რომლებიც არ აღიქმება როგორც მეგრული არასწორი ფორმების გამო.

ამრიგად, იოსებ ყოფშიძის დასახელებული ნაშრომის ხმარებისას სპეციალისტებსაც კი დიდი სიფრთხილე მართებთ.

## მეგრული ენის ორთობრაზიის სრულყოფისათვის

მეგრული უმწერლობო ენაა. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება წამოიჭრას მართლწერის სრულყოფის საკითხი. ამ საკითხის აქტუალობა კი უეჭველია, რაშიაც უმაღვე დავრწმუნდებით, გადავავლებთ თუ არა თვალს მეგრულ ტექსტებს. ამ ტექსტების მართლწერის სრულყოფის საკითხის დაყენება, რა თქმა უნდა, ფანტასტიკის დარგს მიეკუთვნება, რადგან ტექსტების ამ მხრივ გადახედვა შეუძლებელია (გასაგები მიზეზის გამო ეს მიზანშეწონილიც არ არის). მაგრამ ჩვენ მომავალ ჩანაწერებზე უნდა ვიფიქროთ, და რაც მთავარია — უნდა ვიფიქროთ სრული მეგრულ-ქართულ ლექსიკონზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჩვენი დაუდევრობით ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

უმწერლობო ენის ლექსიკონის შედგენისას ერთ-ერთ ძირითად სიძნელეს წარმოადგენს სიტყვის ფორმის საკითხი, რადგან, ერთი მხრივ, არ არსებობს უმწერლობო ენის მართლწერის წესები, მეორე მხრივ, ცხადია, შეუძლებელია ლექსიკონში ყველა კოლოკაციის თავისებურების გატარება.

ამ სიძნელის დაძლევას გლობალურად უნდა მივუდგეთ.

ცნობილია, რომ ენა ვითარდება. ამ კანონზომიერებას ემორჩილება უმწერლობო ენაც. ამასთან სალიტერატურო ენის წარმოშობის მსგავსად აქაც ცალკეული კოლოკაციები იჩენენ გაერთიანების ტენდენციას (თუმცა არ არის გამორიცხული მათი დაშორების ფაქტი, რაც, როგორც ცნობილია, საბოლოო ჯამში იწვევს ორი ენის წარმოშობას), რის შედეგად შეიძლება მივიღოთ, მაგალითად, ჩვენ შემთხვევაში, „საერთო მეგრული“, რომელსაც ახასიათებს თავისი საკუთარი გარკვეული ნორმები. მართლაც, თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოიყოს მეგრული ენის („საერთო მეგრულის“) რიგი ნორმა.

1. მეგრულში მახვილი გარკვეულ როლს თამაშობს.

მეგრულისათვის დამახასიათებელია სუსტი (მაგრამ ოდნავ ინტენსიური ვიდრე ქართულში) დინამიკური მახვილი. მახვილი ეცემა ბოლოდან პირველ („ჭარგნს“ წერს), მეორე („გნძე“ გრძელი, „ოგნძა“ შუთ“ სიგრძით), ან მესამე („გმოთურა“ გამოცვლა) მარცვალზე.

ამრიგად, მეგრულში მახვილი ფიქსირებული არ არის, ამავე დროს ბოლოდან შესაძებ მარცვლის იქით იგი არ მიდის.<sup>1</sup>

მახვილი ზეგავლენას ახდენს „ი“ და „უ“ ხმოვნებზე, რომლებიც უმახვილო პოზიციაში სუსტდებიან და იქცევიან „ა“ და „უ“ თანხმოვნებად: 1) სიტყვის შუაში ხმოვნის შემდეგ (გეოფოთ“ ამოაგ-ლო, მეუბინანს“ მიუმატებს), 2) სიტყვის ბოლოში („ბბირა“ ენახე, „მიწიკუუ“ დაისერება).

ბოლოკიდური „ი“-ს დასუსტება და „ა“-თ გადაქცევა უმახვილო პოზიციაში ქართულისა და მეგრულის განმასხვავებელი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ეს განსხვავება ნათლად ვლინდება ორივე ენაში საერთო სიტყვების შეპირისპირებისას:

ქართული	მეგრული
ახალი	აწალი
ვარდი	ვარდი
სოფელი	სოფელი
ჯიში	ჯიში
ჯარი	ჯარი და ა. შ.

ასე რომ მეგრული სიტყვის ბოლოს უმახვილო პოზიციაში „ი“-ს დაწერა ქართველიზმად უნდა ჩათვალოს და მიჩნეული იქნეს არასწორად. უნდა დაიწეროს კირი(კაცი), ჯიშალაფედი (ბები), დალირი (წაღებული) და არა კირი, ჯიშალაფედი, დალირი და ა. შ.

მახვილის ზეგავლენით აგრეთვე სუსტდება და ნულს ენაცვლება მე-3 სუბიექტური პირის „უ“ და „გ“ ნიშნები, ამიტომ მაშინ, როდესაც ამ ნიშნებს არ მოსდევს პოსტპოზიციური „ნი“ კავშირი, ისინი არ უნდა დაიწეროს: ქიმეჩ (მისცა) და არა ქიმეჩუ ან ქიმეჩუ, გასხუპ (გადაეხვია) და არა გასხუპუ ან გასხუპუ, დოდუ (დადო) და არა დოდუუ ან დოდუგ და ა. შ. სიტყვას პოსტპოზიციური „ნი“ კავშირი თუ აბოლოებს, „უ“ ან მისი ვარიანტი „გ“ ნიშანი აღდგება და თავის თავზე მიიღებს მახვილს: გეგენი (რომ გაიგო), გასხუპუნე (რომ გადაეხვია), დოდუნე (რომ დადო) და ა.შ.

---

<sup>1</sup> ი. ყოფშიძის მიხედვით (იხ. მისი „Грамматика мишггельскаго (иверскаго) языка съ хрестоматією и словарем“) ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი ეცემა ბოლოდან მეორე მარცვალზე, ხოლო სამ და მეტ მარცვლიანში – ბოლოდან შესაძებ მარცვალზე, რაც სწორი არ არის, რასაც ჩვენ მიერ მოტანილი მაგალითებიც ადასტურებენ.

მახვილის ზეგავლენით იკარგება ხმოვნები „უ“ და „გ“ აგრეთვე 1-ლი და მე-2 სუბიექტურ-ობიექტურ პირებში: გებდორთკქ (ავღებები), გხანტგქ (გხატაე), გეგ (გაიგო) და ა. შ., მაგრამ: გებდორთკქგნმ, გხანტგქგნმ, გეგგნმ და ა. შ.

და ბოლოს, მახვილი მეგრულში ასრულებს სიტყვის ფორმის განმასხვავებელ ფუნქციას. ამისი ნათელი მაგალითია შემდეგი: უღუ (უღელი), უღუ (აქვს). უეჭველია, უხერხული იქნებოდა ამ სხვადასხვა სიტყვის ერთი და იგივე ფორმით დაწერა. მაგრამ გვშველის კანონზომიერება რომლის მიხედვით უმახვილო „უ“ სიტყვის ბოლოში იქცევა „უ“-თი.

2. როგორც ი. ყიფშიძე სამართლიანად აღნიშნავდა, ფონეტიკა მართლწერის საფუძველია.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამართლებულია მეგრული ტექსტების ფონოლოგიური ჩაწერა, რადგან მეგრული უმწერლობო ენაა. მართალია, სპეციალური მიზნის დასახვისას, მაგალითად, კილოკავების შესწავლისას, ფონეტიკური ტრანსკრიპცია აუცილებელია, მაგრამ თუ დავისახეთ მერგულის როგორც ენის, „საშუალო მეგრულის“, თუ ასე შეიძლება ითქვას, სურათის წარმოდგენა, მაშინ ფონოლოგიური პრინციპი ხელს შეგვიშლის. ამ შემთხვევაში გარკვეულ წესებს უნდა დავემორჩილოთ, რადგან ფონეტიკური ტრანსკრიპცია უხერხულობას იწვევს არა მარტო ანალიზის თვალსაზრისით, არამედ წაკითხულის იდენტურ აღქმაშიც. ამიტომ უნდა გამოიყოს ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვის ფორმები და ბრუნვის ნიშნები, რომლებიც სიტყვის დაწერისას არ უნდა გატარდეს. მაგალითად, ზეპირმეტყველებაში მიც. ბრუნვის „ს“ ნიშნის წინ ფუძის ბოლოკიდური „ღ“, „ტ“, „თ“, „ჯ“, „ჩ“ იკარგება. ამასთან „ს“ იცვლება „ც“-თი: ღუ-ც (თავს), ღე-ც (ღორს), ხო-ც (ხარს) და ა. შ. ვლებულობთ სიტყვის მოკლე ფორმას და ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელ „ც“-ს „ს“-ს ნაცვლად.

ზეპირმეტყველებაში მოკლე ფორმას და ბგერათა ტრანსფორმაციას ვლებულობთ აგრეთვე ჩოთხრობით ბრუნვაში, სადაც („ი“-ს ამოუარდნის შემდეგ) „ქ“ თანხმოვნის ზეგავლენით ფუძის მჟღერი ბოლოკიდური „ღ“, „ჯ“ – „თ“, „ჩ“-თი იქცევა: ხოჩქ (ხარმა), ღუთქ

<sup>1</sup> იხ.: ი. ყიფშიძე. ქართული მართლწერა. წიგნში: კორნელი დანელია. იოსებ ყიფშიძე, ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თბილისი, თსუ, 1985, გვ. 84.

(თავმა), ტორონჩქ (მტრულმა) და ა. შ. მაგრამ ასე თუ დავწერთ, დიდ უხერხულობას წავაწყდებით.

ზეპირმეტყველებაში ზმნების მესამე პირის მარჯვენელი „ს“ ნიშანიც „ც“-თი იცვლება („ჭკუმუნც“ ჭამს), ზეპირ მეტყველებას ახასიათებს აგრეთვე ბგერების ამოვარდნა და სხვ. ასე რომ ფონეტიკური დაწერილობის მიხედვით გვექნებოდა: მურც (მოდის), მუდე (რა არის), ოჭმარე (დილა), ზემე (მოზელილია), მოჭ (მჭირს) და ა. შ., რაც ასახავს ცალკეული კუთხეების მიხედვით სიტყვის ზეპირად გამოთქმის მანერას, მაგრამ ამახინჯებს სიტყვების ნამდვილ ფორმას და მათი ბგერით შემადგენლობას. ცხადია, უნდა დაიწეროს „მოურს“, რადგან ზმნისწინია „მო-“ და არა „მ-“; „მუ რე“, რადგან აქ ორი სიტყვა გვაქვს: „მუ“ და „რე“, თანაც არის „რე“ და არ არის „მე“; „ოჭუმარე“, რადგან ეს სიტყვა „ჭუმანიდან“ (ხვალ) არის ნაწარმოები; „ზელდ რე“, რადგან აქ ორი სიტყვაა; „მოჭირ“, რადგან სიტყვა ნაწარმოებია „ჭირებადან“.

3. ფონეტიკური პრინციპის მიუღებლობა სიტყვის დაწერის დროს სრულებით არ გამოორიცხავს ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ასახვას. ეს სხვა რიგის საკითხია (გრაფიკა) და ეხება განსაკუთრებული ნიშნების ხმარებას, რომელთა გარეშე ჩანაწერი იძენად მახინჯდება, რომ ჭირს სიტყვის ამოცნობა.

როგორც ცნობილია, მეგრული ტექსტების ჩასაწერად ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა შემოიღო სამი განსაკუთრებული ნიშანი: „მ“, „გ“ და „ჭ“. ამ ნიშნებმა დიდი როლი შეასრულეს მეგრული ტექსტების იდენტური გადმოცემისათვის.

ალ. ცაგარელის შემდეგ მეგრული გრაფიკის სრულყოფას შეეცადა ი. ყიფშიძე, რომელმაც იხმარა „ჯ“ ნიშანი დიფტონგი „უვ“-ის გადმოსაცემად. მაგრამ თანამედროვე მეგრულში ეს რთული ბგერა უკვე არ გვხვდება, მის ადგილას ყველგან შეიძლება გატარდეს „ვ“. მეგრული ტექსტების თანამედროვე შემდგენლებმა კ. დანელიამ და ა. ცანავამ ნიშანი „ჯ“ შეცვალეს მოკლე „უ“-თი ან „ვ“-თი. იმავე მეცნიერებმა შემოიღეს ორმაგხმოვნიაანი ფორმების ჩასაწერად ხმოვანის ზემოთ ტირე: უ, ი, ა, ე.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ.: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, თბილისი, თსუ, 1991, გვ. 4.

ამ ორი სიახლის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: 1) რადგან „ყ“ ნიშანი ყველგან შეიძლება შეიცვალოს „ვ“-თი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ნიშანი „უ“ ზედმეტია (არა „ჭკუერა“, არამედ „ჭკვერა“); 2) ორმაგი ხმოვნები „ი“, „ა“, და „ე“ მეგრულში ხშირი არ არის. ტექსტებში ეს ხმოვნები ჩვეულებრივ გაუმართლებლად არის გაორმაგებული: მოღვარანს, მიდედ, დეეკენ, ქემანჯირ და მისთ. უნდა იყოს: მოღვარანს (ყვირილით მოდის), მიდედ (წაიღო), დეეკენ (დაიკავე), ქემანჯირ (მოაწვა). იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც გაორმაგებული ხმოვანი გვხვდება, მიზანშეწონილია დაიწეროს ორი ხმოვანი („თქვი-ის“ თქვეს). არმიგად, რაიმე განსაკუთრებული ნიშნის შემოღება აქ საჭირო არ არის. რაც შეეხება ხმოვან „უ“-ს, ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი იმაზე, რომ იგი ხმოვანის შემდეგ უმახვილო პოზიციაში მოკლდება (რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ ნიშანი „უ“-თი). ასე რომ ორმაგი „უ“ გვექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორე „უ“-ს მახვილი ეტემა: „უწუწუ“, მაგრამ: „უწუწუნ“, „თქუუ“, მაგრამ: „თქუნდ“. ცხადია, ამ შემთხვევაში გაორმაგებული „უ“-ს აღსანიშნავად რაიმე განსაკუთრებული ნიშნის შექმნა მიზანშეწონილი არ არის.

ზემოთ ნათქვამი იყო იმის შესახებ, რომ მოკლე „უ“-ს ჩვენ გადმოვცემთ გრაფიკა „უ“-თი. კიდევ ერთი დამატებითი ნიშნის შემოღება საჭირო მეგრული გრაფიკის სრულყოფისათვის.

მეგრულში ექვსი თანხმოვანი „ლ“, „შ“, „შ“, „ჩ“, „ჭ“, „ნ“ შეიძლება იყოს მაგარი და რბილიც. როდესაც ამ თანხმოვნების შემდეგ გვხვდება „ი“, „ე“ და „ა“, ისინი დამარბილებულ ფუნქციასაც ასრულებენ, ამიტომ მათ წინ რაიმე განსაკუთრებული ნიშნის ხმარება საჭირო არ არის, მაგრამ სხვა ბგერების წინ, როდესაც „ლ“, „შ“, „შ“, „ჩ“, „ჭ“ და „ნ“ რბილად გამოითქმის, რბილობის აღმნიშვნელი ნიშანი აუცილებელია, რადგან უამისოდ სიტყვის წაკითხვა მახინჯდება.

რბილობის, ან რბილ ნიშნად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მივიღოთ „ჰ“ ნიშანი, გადმოტრიალებული „ჰიე“, რომელიც დასაწერადაც იოლია და ქართული დამწერლობის ტრადიციიდანაც შორს არა დგას.

რაც უფრო გვიან არის ჩაწერილი მეგრული ტექსტები, მით უფრო თანამედროვე და სრულყოფილია მათი ენა. ეს გასაგებიცაა ენის განვითარების ფაქტორიდან გამომდინარე. მაგრამ ეს არ ხსნის დღის წესრიგიდან მეგრულის ორთოგრაფიის გაუმჯობესების საკითხს. მით უმეტეს წინ არის ისეთი რთული პრობლემა, როგორიცაა სრული მეგრულ-ქართული ლექსიკონის შედგენა. მისი შესრულება კი მჭიდროდ უკავშირდება მართლწერის საკითხებს. ზემოთ მოტანილი მოსაზრებები ამ დიდი საკითხის მეტად მცირე ნაწილია.

## ქართველური ენების კლასიფიკაციის საკითხისათვის

ქართველური ენების რაოდენობის შესახებ დღეისთვის ერთი აზრი არ არსებობს. ამ შემთხვევაში მხედველობაში არა მაქვს ბასკური ენა, რომლის აღიარება ქართველურ ენად დიდი კითხვის ქვეშაა. მხედველობაში მაქვს ჩვენი, მშობლიური ენები, რომელთა ქართველობაში ეჭვი არ შეიტანება.

50-80-იანი წლების ენათმეცნიერებაში დაძველდა, რომ არსებობს სამი ქართველური ენა: ქართული, სვანური და ზანური.

ქართულისა და სვანურის შესახებ ყველაფერი გასაგებია: ეს ორი ცოცხალი ენაა, რომლებიც თავის მხრივ დიალექტებისაგან შედგებიან. გაუგებრობას იწვევს ზანური ენა. უფრო მეტიც — გასარკვევია, არსებობს თუ არა ამჟამად ასეთი ენა საერთოდ? 50-80-იანი წლების ენათმეცნიერება ამტკიცებდა, რომ ზანური არსებობს და შედგება ორი დიალექტისაგან: მეგრულისა და ჭანურის ანუ ლაზურის (იხ.: პროფ. ა. ს. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი, თბ., სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1952, გვ. 363; შოთა ძიძიგური. სიტყვის ცხოვრება, თბ., „ამირანი“, 1988, გვ. 88). ე. ი. ამტკიცებდა, რომ მეგრული, ასევე ლაზური (ჭანური), დამოუკიდებელი ენა არ არის. რევოლუციამდელ ენათმეცნიერებაში, სხვათა შორის, განსხვავებული აზრისა იყვნენ ნიკო მარი და ალექსანდრე ცაგარელი (სხვებიც), რომლებიც თვლიდნენ, რომ მეგრული და ლაზური (ჭანური) ორი სხვადასხვა ენაა (იხ.: ნ. მარი. ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით, სანკტპეტერბურგი, 1910, გვ. 1, რუს. ენაზე; აგრეთვე: ალ. ცაგარელის ნაშრომი „1877 წლის ზაფხულში იმიერკავკასიაში მოგზაურობიდან“, რუს. ენაზე).

რითი განსხვავდება ენა დიალექტისაგან?

მთავარი განსხვავება ასეთია: ერთი ენის ორი (ან მეტი) დიალექტის მატარებლები ერთმანეთს უგებენ თავისუფლად, ხოლო ორი სხვადასხვა ენის მატარებლები ერთმანეთს ვერ უგებენ (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ტექსტის იდენტურ გაგებას და მხედველობაში არ ვიღებ მიახლოებით გაგებას, რაც შეიძლება მოხდეს ახლონათესაურ კავშირში მყოფ ენების წარმომადგენლებს შორის). მაგალითად, ქართულ ენაში კილოთქმებად (დიალექტებად) მიჩნეულია: „ა) აღმოსავლეთ საქართველოდან — გუდამაყრული, თიანური, თუ-



შური, ინგილოური, კახური (შიგნი კახური, გარეკახური), მთიულური, ფერეიდნული, ფშაური, ქართლური, ქიზიყური, ქსნის ხობისა, ხევსურული; ბ) დასავლეთ საქართველოდან – აჭარული (ქვემო და ზემო), ლეჩხუმური, ოკრიბული, რაჭული (ქვემო და ზემო); სამხრეთ საქართველოდან – იმერული, მესხური, ჯავახური“ (იხ.: „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, შემდგენელი ალ. ლლონტი, მეორე გამოცემა, თბ., „განათლება“, 1984, გვ. 6).

აქ ჩამოთვლილი მრავალი დიალექტის წარმომადგენლები თავისუფლად გაუგებენ ერთმანეთს მაშინაც კი, თუ დავეუშვებთ, რომ მათ ლიტერატურული ქართული არ იციან, მაგრამ კახური, ქართლური, გურული, აჭარული და ა. შ. დამოუკიდებელი ენები რომ ყოფილიყვნენ, ურთიერთგაგებისთვის საჭირო გახდებოდა ამ ენების სპეციალურად შესწავლა.

აღნიშნულის თვალსაზრისით განვიხილოთ მეგრული და ლაზური ენები.

ავილოთ მცირე ტექსტი ლაზურიდან: „ტეენ დო ვარ ტეენ, ართეი მთუთი დო მელი ქორტეენ. ანთეფე აქარდაში დიყვეენან ელო ბირდემ ყონა ხაჩქუპტეს. ანთეფეს ულუტეს არ ზემელითე ძალი კიშიშენი შენახეი“ (გურამ კარტოზია. ლაზური ტექსტები, თბ., „მეცნიერება“, 1972, გვ. 10).

ამ ტექსტის 21 სხვადასხვა სიტყვიდან მხოლოდ 2 („დო“, „ვარ“) საერთოა მეგრულში და ლაზურში. 8 სიტყვას დიფერენცირება განუცდია:

### ლაზური

ართეი

მთუთი

მელი

ქორტეენ

ანთეფე

ხაჩქუპტეს

ულუტეს

ყონა

### მეგრული

ართე (ერთი)

თუნთე (დათვი)

ჭიჭე ტურა, მეღე, მელა, მელია (მელია)

ქორდეს (იყვენენ)

ათენფე (ესენი)

ხაჩქენდეს (თოხნიდნენ)

ულუდეს (ჭქონდათ)

ყვანა (ყანა)

ტექსტის დანარჩენი სიტყვები: ტეენ, აქარდაში, დიყვეენა, ელო, ბორდემ, ზემელითე, ძალი, კიშიშენი, შენახეი – სულ 9 ერთეულში, – მეგრულს არ მოეპოვება. უცნობი სიტყვათა ასეთი დიდი

რაოდენობა გაუგებარს ხდის ამ ტექსტს მეგრელისთვის. და ეს მაშინ, როდესაც ტექსტი ასე მცირეა. ტექსტის გაზრდასთან ერთად, რა თქმა უნდა, სიბნელებიც გაიზრდება. მაგალითად, გურამ კარტოზიას მიერ შედგენილი ლაზური ტექსტები მეგრელისათვის გაუგებარია თარგმნის გარეშე. სწორია გ. კარტოზია, როდესაც ლაზურს ენას უწოდებს, რომლის შესწავლა დასჭირდა მას ლაზური ტექსტების მოსაპოვებლად (იხ.: გ. კარტოზიას მითითებული წიგნი, გვ. 8).

არნ. ჩიქობავა, უნიჭიერესი ენათმეცნიერი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა დღეს არსებული ქართველური ენების კლასიფიკაციის დამკვიდრებაში, ამბობს, რომ „ზანური“ პირობითი სახელიაო. მიუხედავად ამისა მეგრულსა და ჭანურს ამ არარსებული ენის კილოებს უწოდებს ფონეტიკური სისტემის, მორფოლოგიური წყობისა და ლექსიკის ძირითადი მარაგის ფაქტორების საფუძველზე (იხ.: არნ. ჩიქობავას მითითებული წიგნი, გვ. 366). პირველი ორი არგუმენტი აქედან არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ შემთხვევაში კილოებთან და არა ენებთან გვაქვს საქმე, რადგან ფონეტიკური სისტემა და მორფოლოგიური წყობა ძალზედ ნელა იცვლება, ასე რომ ახლო მონათესავე ენები, რომლებიც ერთი საერთო დიალექტისაგან წარმოიშვნენ, ამ მხრივ ძალზედ ახლო დგანან ერთმანეთთან. ე. ი. არც ფონეტიკური სისტემა, არც გრამატიკული წყობა და არც მორფოლოგიური ტიპი მონათესავე დამოუკიდებელი ენების წარმოშობაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. გადამწყვეტი აქ ლექსიკაა, რომლის შეცვლა (ის კი ცვალებადია) იწვევს ახალი ენების წარმოშობას საერთო წინაპრიდან. ჩვენ შემთხვევაში ეს წინაპარი ზანური ენაა, რომელმაც უკვე შეწყვიტა არსებობა, სამაგიეროდ შობა ორი ენა: მეგრული და ლაზური (ჭანური), რასაც ცხადყოფს ლაზური და მეგრული ტექსტების შედარება. ე. ი. ზანი ტომი, რომლის არსებობა ისტორიული ფაქტია, დღეს ორ ტომად გაიყო, რომელთა ენები ისე დაშორდნენ ერთმანეთს ლექსიკით (ჩვენ ეს დავინახეთ ზემოთ მოტანილი მცირე ტექსტის მაგალითზეც კი), რომ იქცნენ ორ დამოუკიდებელ ენად. აქედან გამომდინარე ქართველური ენების ჯგუფი არა სამი, არამედ ოთხი ენისაგან შედგება: ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური.

ვფიქრობ, ასეთი კლასიფიკაცია სამართლიანიც არის და მეტი ხელშემწყობიც მეგრულისა და ლაზურის შესასწავლად.

და კიდევ: ამ საკითხის გადაწყვეტისას ბოლოს და ბოლოს უნდა გამოირიცხოს პოლიტიკური ფაქტორი.

## ბ. ელიავას მეგრულ-ქართული ლექსიკონი

ერთ-ერთი ქართველური ენის – მეგრულის – მეცნიერული შესწავლა დაიწყო სანკტ-პეტერბურგში დიდი მეცნიერების ა. ცაგარელის, ნ. მარისა და ი. ყიფშიძის მეცადინეობით. მათ გამოაქვეყნეს მეგრული ტექსტები რუსული თარგმანით, ი. ყიფშიძემ კი შეადგინა მეგრული ენის გრამატიკა და დაურთო მას ტექსტები და ლექსიკონი რუსული განმარტებით (სანკტ-პეტერბურგი, 1914 წელი).

რუსეთის უნივერსიტეტის ტრადიციები გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ. სწორედ აქ წარადგინა 1984 წელს მარტვილის ეროვნული მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გივი ელიავამ თავისი 20 წლის მუშაობის შედეგად შედგენილი მეგრულ-ქართული ლექსიკონის პირველი ვარიანტი. კათედრის გამგემ, აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ და კათედრის თანამშრომლებმა დაინახეს ნაშრომის დიდი მნიშვნელობა. პროფესორ კორნელი დანელიას ხელმძღვანელობით სამი წელი დასჭირდა შემდგენელს საბოლოო ვარიანტის მოსამზადებლად. და აი, გამოცემლობა „ინტელექტმა“ 1997 წელს სიცოცხლე მისცა შემდგენლისა და მის თანამდგომთა მრავალი წლის ნაშრომს (რედაქტორი კორნელი დანელია, გამომცემელი კახბეკ ჟუღავა).

აღნიშნული ლექსიკონი ლექსიკური ერთეულების რაოდენობის მიხედვით (5459 ერთეული) შეიძლება მოკლე ლექსიკონებს მივაკუთვნოთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქ სიტყვა-სტატია ბუდური წესითაა შესრულებული, იგი დიდძალ ლექსიკურ მასალას მოიცავს, რაც ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს. მეორე მისი ღირსება ისაა, რომ მასში ისეთი სიტყვებიცაა რეალიზებული (როგორც ამას ლექსიკონის რედაქტორი კორნელი დანელიაც აღნიშნავს წინასიტყვაობაში), რომლებიც არც ერთ ბეჭდურ შრომაში არ ფიქსირდება. ნათქვამიდან ლექსიკონის მნიშვნელობაც გამომდინარეობს, რადგან მოცულობა და ახალი სიტყვების დაფიქსირება აქცევს მას არა მარტო ძვირფას წყაროდ მეგრული ლექსიკის შესასწავლად, არამედ მომავალი უფრო სრული მეგრულ-ქართული ლექსიკონის არანაკლებ ძვირფას მასალად. ის ფაქტი, რომ დასახ-

ელებული ლექსიკონი უმეტესად მარტივლურ კილოკავს მოიცავს, სრულებით არ ლახავს მის მთავარ ღირსებასა და დანიშნულებას.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გველაპარაკა ზოგიერთ სპეციფიკურ დეტალებზე და მხარეებზე, რაც ლექსიკონის მეცნიერულ ღონეს აქვეითებს, მაგრამ მათი სწორი გადაწყვეტა დამოკიდებულია ობიექტურ მიზეზებზე. ეს მიზეზები კი იმაში მდგომარეობს, რომ ამჟამად მგერული ენა ძალზე სუსტადაა შესწავლილი მეცნერულად. გ. ელიავას ლექსიკონი დიდად შეუწყობს ხელს მის შესწავლას.

\*

## ლიტერატურა:

ჰინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“.

ი. ყიფშიძე „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“.

პეტრე ჭარაია „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ რედაქტორი ზ. სარჯველაძე.

გივი ელიავა „მეგრულ ქართული ლექსიკონი“ რედაქტორი კ. დანელია. გამომცემელი კ. კუდავა

ამონარიდები მეგრული სიტყვიერებიდან (შემდგენელ – გამომცემელი კ. კუდავა; რედაქტორი მ. თავლიშვილი).

ბუჯან კილანავა „900 მეგრული სიტყვა“ (გამომცემლები რ. ძერია, კ. კუდავა; რედაქტორი პ. ცხადაია).

